საბანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 1 18 00066350

28/09/2018

პასუხი: AR1624155 საავადმყოფო

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 14 სექტემბრის №60-01182572542 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 14.09.2018; №62974) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.07.005.023) ასაშენებელი სარეაბილიტაციო ცენტრის შენობის არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედაგად დადგინდა, რომ „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, რომელთა პროექტში რეალიზება საგრძნობლად გაზრდის შენობის ხანძარსაწინააღდეგო დაცვის ხარისხს და უსაფრთხოებას, კერძოდ:

1. შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს ორი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის 100 მმ ქსელზე სახანძრო ჰიდრანტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახანძრო ჰიდრანტები ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავოსში. იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყაგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტები, შენობის გარე ხანძარჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტების მოწყობა საჭირო არ არის.

საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 5.3 ცხრილი 2 ; პუნქტი 8.6; 8.10

2. გათვალისწინდეს, რომ SP 8.13130.2009 4.1 პუნქტის „შენიშვნის“ მეორე პუნქტის შესაბამისად განაშენიანების ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის არარსებობის შემთხვევაში, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს სახანძრო რეზერვუარის მოწყობის გზით და დადგენილი წესით განისაზღვროს მისი მოცულობა.

3. სახანძრო ჰიდრანტის (წყლის რეზერვუარის), აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით (მოცულობითი შუქსიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქამრეკლი საფარების გამოყენებით).

საფუძველი: „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

4. სარეაბილიტაციო ცენტრის მიწისქვეშა სართულზე ჩამავალ ლიფტების შახტების შესასვლელების წინ გათვალისწინდეს ტამბურ-რაბების მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბის მღობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა მიღებული იქნეს არანაკლებ 45 წუთის, ხოლო ტამბურ-რაბებში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა - არანაკლებ 30 წუთის.

საფუძველი: ტექნიკური რეგლამენტი -123 მუხლი 88 ;პუნქტი 20;

5. გავალისწინდეს, რომ კიბის უჯრედებს გარე კედლებში უნდა გაჩნდეს ბუნებრივი განათების ღიობები რომლის ზომებიც არ უნდა იყოს 1.2 მ2-ზე ნაკლები.დასაშვებია შენობის შიდა საევაკუაციო კიბის უჯრებების 50% მოეწყოს გარე ბუნებრივი განათების გარეშე, თუ კიბის უჯრედში უზრუნველყოფილი იქნება ჰაერის დაწნევა.

საფუძველი: SP 1.13130.2009 პუნქტი 4.4.7

6. ვინაიდან წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში გაურკვეველია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის არსებობა, ხოლო შენობის სართულებზე (როგორც მიწისქვეშა ისე მიწისზედა) არსებულ დერეფნებს არ გააჩნია ბუნებრივი განიავების ღიობები, ამიტომ სარეაბილიტაციო ცენტრის დერეფნებში უნდა გათვალისწინდეს კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა, ასევე კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა საჭირო გახდება მიწისქვეშა სართულზე არსებულ სასაწყობო სათავსში;

საფუძველი: SP 7.13130.2015 პუნქტი 7.2 „ვ“, "ე";

7. შენობის საევაკუაციო გზებზე, დერეფნებში, ძირითად გასასვლელებში, კიბის უჯრედებში და სხვა სათავსოებში გათვალისწინდეს საევაკუაციო განათებების მოწყობა.

საფუძველი: SP 158.13330.2014 პუნქტი 7.7.2.1.2 ;

8. გათვალისწინდეს, რომ SP158.133330.2014-ის პ.7.7.2.4.2 მოთ-ხოვნების შესაბამისად, შენობებში სახანძრო სიგნალიზაციის, ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის, ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ევაკუაციის მართვის, კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის, საევაკუაციო განათების, გარკვეული დადანადგარების და სხვა ელექტრომიმღებებმა, რომელებმაც ხანძრის პირობებში უნდა შეინარჩუნონ მუშაუნარიანობა, ელექტროკაბელების

შესრულება უნდა იყოს - უწვი (A)-FRLS ან უწვი (A)-FRHF ხანძარსაშიშროების კლასიდან გამომდინარე. სახვა ელექტრომომხმარებლების მკვებავი ქსელების ცალკეული ან ჯგუფურად გაყვანილი ელექტროკაბელების შესრულება მიღებული უნდა იქნეს - უწვი (A)-LSTx ან უწვი(A)-HFLTx ხანძარსაშიშროების კლასიდან გამომდინარე. ხანძარსაშიშიშ ზონებში ელეექტრო ქსელების შესრულების მოთხოვნები მოცემულია „ელექტროდანადგარების მოწყობის წესების“ 7.4.4 პუნ-ქტში, ასევე სარეაბილიტაციო დაწესებულებებში ელექტროგაყვანილობის მოწყობისას აუცილებელია SP158.133330.2014-ის პ.7.7.2.4 მოთხოვნებით ხელ-მ-ძღვანელობა.

საფუძველი: SP158.133330.2014-ის პ.7.7.2.4.2, 7.7.2.4.3 ; ”ელექტროდანადგარების მოწყობის წესი“- 7;

ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე (და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით) აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

გ) შენობაში ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

დ) კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ე) ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ვ) შენობაში ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

თ)ელექტროდანადგარების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

გაცნობებთ, რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი



ადრესატები: **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური**